

## **ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში** **ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება - ფინანსური სექტორის როლი**

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას საჭიროებს. ცირკულარ ეკონომიკაში პროდუქტები იმგვარად იქმნება, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მათი განახლება, შეკეთება და ხელახლა გამოყენება; ამასთან, ხმარებიდან ამოღების შემდეგ გათვალისწინებულია მათ დასამზადებლად გამოყენებული მასალების ხელახალი გამოყენება. მოხმარების ფაზაზე პროდუქტები იმგვარად იმართება, რომ მათი მოხმარების ეფექტიანობა მაქსიმალურად გაიზარდოს და ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. სავარაუდოდ, ამას ის კომპანიები ახერხებენ, რომლებმაც შეიმუშავეს ახალი ბიზნეს მოდელები, სადაც შემოსავლის მიღება ხდება მომსახურებიდან და არა პროდუქციიდან, რესურსები უფრო ეფექტიანად მოიხმარება და/ან ხმარებიდან ამოღებული პროდუქტები თუ მასალები ახალ ღირებულებას იძენს. მომხმარებლები კი პროდუქტებს იყენებენ ეფექტიანად და იმგვარად იცილებენ, რომ შესაძლებელი იყოს მათი ხელახალი გამოყენება, ხოლო თუ ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელი ან ეკონომიკურად არახელსაყრელია, გადამამუშავებელი ობიექტები მათ გარდაქმნიან მეორად მასალებად, რომლებიც ახალ საწარმოო ციკლში შეიძლება ჩაეშვას. აღნიშნული საჭიროებს მთელი სისტემის მხარდაჭერას, დაწყებული ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით და დამთავრებული ისეთი საბაზრო სტრუქტურით, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა და სხვადასხვა ჯაჭვებს შორის, ასევე მმართველობის ფორმითა და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წახალისებს წრებრუნვის მიდგომები მიიღონ ისეთ სოციალურ ნორმად, რომელიც წარმოება-მოხმარების ცირკულარულ მოდელს საზოგადოებისათვის უფრო მისაღებად აქცევს. ეს პარადიგმა უპირისპირდება წრფივ ეკონომიკას, რომელიც „აიღე-გააკეთე-გამოიყენე-გადააგდე“ მოდელს ეფუძნება. ეს მოდელი წარმოებული და გაყიდული პროდუქტების რაოდენობის მაქსიმუმამდე გაზრდას ითვალისწინებს, ხოლო მასალების შენარჩუნებაზე აქცენტი არ კეთდება. ასეთი მიდგომის დროს ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა ვერ ხერხდება და მომხმარებლებში გადაყრის კულტურის სტიმულირება ხდება, რასაც გარემოზე მავნე ზემოქმედებამდე მივყავართ.

ნაკლები ენერჯისა და ნედლეულის მოხმარების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის, ასევე ახალი ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული ბიზნეს მოდელების წყალობით შექმნილი კომერციული შესაძლებლობების გამო, ცირკულარული ეკონომიკით მთელი მსოფლიოს მეწარმეები დაინტერესდნენ. ამ კონტექსტში ბიზნეს ინიციატივისა და პარტნიორობის მრავალი მაგალითი არსებობს, რომლებიც ცირკულარული ეკონომიკის ირგვლივ სტიმულს იძლევიან. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლაში ბიზნესის როლი უდავოა. ერთი მხრივ, ახალი და ცირკულარული ბიზნეს მოდელების გარეშე მდგრადი განვითარება შეუძლებელი იქნება. მეორე მხრივ კი, გარემოზე წნეხი, რაც რესურსტევადი 'ჩვეული საქმიანობის' თანმხლებია, ბიზნეს რისკებისა და ხარჯების გაზრდას იწვევს, რაც დროთა განმავლობაში მოგებაზე და განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

ცირკულარული ეკონომიკა მრავალი ტრილიონი დოლარის მომტანი ეკონომიკური შესაძლებლობაა. ცირკულარულ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა სარგებელს მოიტანს არა მხოლოდ კლიმატის, გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით, არამედ განვითარების ახალ

და უკეთეს შესაძლებლობებს გვაძლევს. ასე მაგალითად, ევროპაში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის წყალობით ტრანსპორტის, მშენებლობის და კვების სფეროებში წლიურად 1.8 ტრილიონი ევროს ოდენობის სარგებლის მიღებაა შესაძლებელი. კვლევები გვიჩვენებს, რომ ცირკულარული მიდგომის მხოლოდ ხუთ დარგში (ფოლადის, ალუმინის, ცემენტის, პლასტიკის და საკვების წარმოება) დანერგვის შემთხვევაშიც კი სათბური აირების წლიური ემისიები 2050 წლისათვის 9.3 მილიარდი ტონა CO<sub>2</sub>-ის ექვივალენტით შემცირდება, რაც მსოფლიოში ყველა სატრანსპორტო საშუალების გაფრქვევების აღმოფხვრის ტოლფასია. დროა, ფინანსურმა სისტემამ მომენტით ისარგებლოს და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებას შეუწყოს ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ამ სფეროს მზარდი დაფინანსება იმედის მომცემია, ცირკულარული ეკონომიკის მასშტაბის გასაზრდელად და მისი შესაძლებლობების სრულად ასათვისებლად გაცილებით მეტი კაპიტალი და მუშაობა საჭირო. ცირკულარული ეკონომიკაზე გადასვლის წინა პლანზე წამოსაწევად დაფინანსების ყველა ასპექტი მნიშვნელოვანია. ინვესტორებს, ბანკებს და სხვა საფინანსო კომპანიების მასშტაბი, დაფარვა და კვალიფიკაცია საკმარისია, რომ გარდაქმნის მიზნით მოახდინონ ბიზნესის სტიმულირება და მხარდაჭერა.

მიმდინარე პროგრამა, რომელსაც შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში ა/ო საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს, სავარაუდოდ შედეგად მოჰყვება პროექტები, რომელთა განვითარებისა და განხორციელებისთვისაც დაფინანსება იქნება საჭირო. მოცემული პროგრამის ფარგლებში მეოთხე კონფერენცია მომზადდა საფინანსო ინსტიტუტებისათვის ცირკულარული ეკონომიკის პოტენციალის თაობაზე რეკომენდაციების მისაწოდებლად და ამ საკითხებზე მათი ინფორმირებულობის გასაზრდელად.